

ჯენიფერ ბელი

მინისტრია

მრუდე პერსონა



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

*ედვინება დედასა და ბეთს,
ამ წიგნის გმირებს.*





თავი პირველი

სასწრაფოს მანქანამ მოუხვია და აივი წინ გადაქანდა. მანქანაში ყველაფერი აზრიანდა.

– კარგი, ბატონო, – თქვა სასწრაფოს ექიმმა და კლიპბორდს თვალი მოსწყვიტა. მელოტი იყო, მკლავები, მაჯებიდან იდაყვებამდე, ფერგადასული სვირინგებით ჰქონდა მოხატული, – სრული სახელი რა გქვია?

– აივი ელიზაბეთ სპაროუ, – სხაპასხუპით მიაყარა გოგომ და ყვითელი ბოტები იატაკზე აატყაპუნა.

მანქანაში დახუთულობა იყო, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა უნდოდა. ექიმის მხარს იქით გაიხედა და გაიფიქრა, რა იქნება, ვთხოვო, ამ დაბურული სარკმლებიდან რომელიმე მაინც გააღოსო. სარკმლის მინაში ირეკლებოდა, როგორ უქანავებდა გოგოს ხუჭუჭა ყავისფერი კულულები, დღეს – ჩვეულებრივზე მეტად განწილი.

ექიმმა ბურთულიანი კალმით რაღაც ჩაიწერა და მანქანის ბოლოსკენ შეტრიალდა:

– შენ რაღა გქვია?

მერხის მეორე მხარეს წინ წახრილი და ფეხებგაჩაჩხული იჯდა ბიჭი, კაპიუშონიანი ნაცრისფერი ანორაკი¹ ეცვა და ზედ ჯგუფ „რიპზის“ ლოგო ეხატა. წვრილად დახუჭუჭებული ქერა თმა თვალებზე ჩამოჰყროდა, თუმცა აივიმ იცოდა, რომ ბიჭი მას უყურებდა.

– მე – სები, – მშრალად მიუგო ბიჭმა ექიმს, – ამის ძმა ვარ.

ექიმს გაელიმა და სახელი ჩაჯღაბნა. აივი შეეცადა, სებზე ფიქრი გონებიდან ამოეგდო. სულ სების ბრალია, რაც მოხდა.

საკაცზე დაიხარა და სილვი ბებოს ხელი ჩაჰკიდა. ხელი ჩვეულებრივზე რბილი ეჩვენა. ბებოსთვის ზენარი ფხრინიანი ზორტებით შეეკრათ გულმკერდზე, კისერს ფიქსატორი უჭერდა, ცხვირ-პირზე კი ჟანგბადის მქრქალი ნილაბი ეფარა. აივის იგი ასეთი მისუსტებული არასოდეს ენახა.

– და, ასაკი? ვინ რამდენი წლისა ხართ? – განაგრძო ექიმმა.

– მე – თერთმეტის, – მიუგო აივიმ და სილვი ბებოსკენ მიჩოჩდა.

– მე – თექვსმეტისა, – ხმა დაიბოხა სებმა.

აივი მოილუშა და ძმას აღმაცერად გახედა. ერთი თვეა, რაც სები თოთხმეტისა შესრულდა.

– კეთილი და პატიოსანი, – სახე მოუღბა ექიმს, – გატყობთ, ორივენი ძალიან ნერვიულობთ, მაგრამ დამიჯერეთ, ყველაზე უფრო იმით დაეხმარებით ბებოს, თუ წყნარად და მშვიდად იქნებით. საავადმყოფოში რომ მივალთ, მიმღებში შევიყვანთ და ექიმი საგულდაგულოდ გასინჯავს. მერე შეიძლება ოპერაცია დასჭირდეს, ასე რომ, ერთხანს საავადმყოფოში მოუნევს დარჩენა.

¹ ანორაკი – ტყავის, ან ნაქსოვი ზედა ტანსაცმელი, კაპიუშონიანი; წინ ერთი დიდი ან ორი პატარა ჯიბით

აივი მოილუშა. სილვი ბებოს ერთადერთხელ გაუთევია ღამე საავადმყოფოში – ეს ამბავი ყველამ იცის – მაგრამ ეს შემთხვევა აივის მშობლების დაბადებამდე მოხდა.

– იცით, რა სჭირს? – იკითხა.

ექიმი შეიჭმუნა:

– მგონი, ბარძაყის ძვლის მოტეხილობა უნდა ჰქონდეს, შეიძლება – მაჯისაც, მაგრამ სანამ რენტგენს არ გადავუღებთ, ზუსტად ვერ ვიტყვით.

სანამ ექიმი რალაცას ინიშნავდა, აივი სილვი ბებოს ხელზე მოეფერა და გაიფიქრა, ნეტავ მაშინაც თუ გადაუტყდა ძვლებიო. შეიძლება გადაუტყდა კიდეც. უჩვეულო ქარბუქის დროს მოუვიდა ავარია და რამდენიმე დღე უგონოდ იყო; მერე, როცა გონს მოვიდა, ვერც ავარია გაიხსენა და ვერც ავარიამდე მომხდარი ამბები. პოლიციამ მხოლოდ მისი სახელი გაიგო, ისიც იმიტომ, რომ ყელსაბამი ეკიდა, რომელზეც „სილვი“ იყო ამოტვიფრული. აივის დედა ამბობს ხოლმე, რეტროგრადული ამნეზია დაემართაო. აივიმ ზუსტად იცის ავარიის თარიღი, იმიტომ რომ, ოჯახში ამ ამბავს ხშირად ახსენებენ: 1969 წლის 5 იანვარი. შობის მეთორმეტე ღამე.

– სანამ საავადმყოფომდე მივიდოდეთ, – განაგრძო ექიმმა, – ერთხელაც უნდა დავაფიქსირო მომხდარი, – საათს დახედა, – ახლა დილის ცხრის ნახევარია, ანუ დაახლოებით, რვას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მაშინ დავარდა, არა? თქვენი თქმით, ბებოს სამზარეულოში დაუცდა ფეხი, სანამ თქვენ ორივენი მეორე ოთახში იყავით, ხომ?..

აივიმ წარმოიდგინა, როგორ წაბარბაცდა სილვი ბებო, ზურგზე დაეცა და ფეხებს გულაღმა ამოტრიალებულ ხოჭოსავით იქნედა ჰაერში. იქვე მაინც ყოფილიყო, რომ ეშველა.

სებმა ნერწყვი გადაყლაპა:

– ტკბილ ღვეზლებს აცხობდა და უცებ ყვირილი მოგვესმა.
„ჩვენს ყვირილში“ – გაახსენდა აივის და ძმას ნაწყენი მზერა ესროლა. „რიპზის“ ახალ, სულელურ პლაკატზე ჩხუბობდნენ (სებს ის პლაკატი საშობაოდ აჩუქეს). აივის შემთხვევით ფორთოხლის წვენი გადაესხა ზედ; სებს რომ ერთი ამბავი არ აეტეხა, იქნებ სილვი ბებოსთან უფრო მალე მიერბინათ.

ექიმმა კლიპბორდი დახურა.

– კარგი, საკმარისია. შეგიძლიათ, დედასა და მამას დაუკავშირდეთ?

აივიმ ამოიოხრა. „ნეტავ მართლა!“ იმაზე მეტად არაფერი უნდა, ახლა დედა და მამა აქ იყვნენ.

– ესემესი გაუფგავნე, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსულა, – თქვა სებმა, – საავადმყოფოში რომ მივალთ, ვეცდები, დავურეკო. დედა მუშაობს, მაგრამ სანამ ცვლა დაენწყება, ეგებ მოვასწროთ და დაველაპარაკოთ.

აივი გუშინ დილით დაემშვიდობა დედას. დედა რომ აქ იყოს, დატრიალდებოდა და მთელ ამ გაუგებრობას წამში მოაგვარებდა. აივიმ და სებმა კი სასწრაფოში დარეკვის გარდა ვერაფერი მოახერხეს.

– მამა პარიზშია, – ხმადაბლა დაამატა აივიმ, – ისიც მუშაობს.

მამა ლონდონის განთქმული „დედოფალ ვიქტორიასა და პრინცი ალბერტის მუზეუმის“ კონსულტანტი ჰყავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ათასგვარ სიძველეთა ექსპერტია და მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ეკითხებიან რჩევას.

ექიმმა წარბები ასწია:

– მამ, მაგიტომ ცხოვრობთ ბებიასთან?

– შობას ყველანი ერთად შევხვდით, – აუხსნა აივიმ.

იგრძნო, მშობლები უნდა დავიცვაო, – უბრალოდ, დღეს დედა და მამა სამსახურში ადრე იყვნენ წასასვლელები.

სინამდვილეში ოდნავაც არ ანუხებს, რომ დედ-მამა ლონდონშია, მასა და სებს კი ექვსი საათის სავალზე, ბლენჩი სკრაბში ტოვებენ ბებოსთან. თუმცა ეს კია, რომ დღემდე ამგვარი გაუთვალისწინებელი რამ არ შემთხვევიათ.

ექიმმა დადო კლიპბორდი და სილვი ბებოს მიუბრუნდა, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ კისრის ფიქსატორი ეკეთა, მაინც სცადა გალიმება. აივიმ გაიფიქრა: ეს ფიქსატორი თუ რალაც რომ უკეთია, ალბათ არც ესმის, რას ვლაპარაკობთ, აკი ექიმს არ უთხრა, სები სინამდვილეში რამდენი წლისაცააო.

– აბა, მისის სპაროუ, უბრალოდ, უნდა შევამოწმო, რა მდგომარეობაში ბრძანდებით.

მან სილვი ბებოს ფხრინიანი ზორტებით შეკრული ზენარი გადაუხსნა და იქამდე დაგორგლა, სანამ ბებოს მკლავი არ გამოუჩნდა. მკლავი კოტონის წვრილ სამხარლლიეში ჰქონდა გაყრილი და კისერზე ჩამოკიდებული. ექიმმა ფრთხილად გახსნა კვანძი და ქსოვილი მკლავქვეშიდან გამოაძვრინა. სილვი ბებო შეკრთა.

სამხარლლიე რომ მოაშორეს, აივის სუნთქვა შეეკრა. ბებოს მკლავი ისე გალურჯებოდა და გასივებოდა, ვეებერთელა ბადრიჯანი გეგონებოდათ.

ექიმმა თითის წვერები სათუთად მოჰკიდა ბებოს ნატკენ მაჯაზე:

– ჰმ, ეტყობა, უფრო და უფრო უსივდება, ალბათ სტკივა კიდევაც, – მერე ყოველი მხრიდან დაათვალიერა. აივიმ დაინახა, რომ ბებოს კანზე ოქრომ გაიციალა, – თქვენს სამაჯურზე შესაკრავს ვერ ვხედავ. შეიძლება, გაჭრა დაგვჭირდეს, რომ

არ მოგიჭიროთ და არ შეწუხდეთ, მისის სპაროუ. რას იტყვით?

აივის გული შეეკუმშა და გაიფიქრა, ალბათ ბებოსაც ეტკინა გულიო. ეს ოქროს სამაჯური ერთ-ერთია იმ რამდენიმე ნივთს შორის, რაც ბებოს ამნეზიამდელი ცხოვრებიდან შემორჩა. ავარიის დროსაც ეკეთა და აივის არ ახსოვს, ოდესმე მოეხსნა. ყველამ იცის, რომ ეს სამაჯური გამორჩეულად უყვარს.

სილვი ბებომ მთელი ძალით დახუჭა თვალები და აივიმ გაიგონა, კბილების კრაჭუნით რომ თქვა:

– გაჭერთ.

ექიმმა ვერცხლისფერი პატარა მარწუხი იპოვა. ჰაერში ორჯერ გაისმა ჩუმი წკაპუნის და სამაჯურის ნახევრები აქეთ-იქით გადაცვივდა. აივის შეაძაგდა.

– აივი, ჩემი ჩანთა, – მეორე ხელი ასწია სილვი ბებომ და კანკალით ანიშნა ჩანთაზე.

აივიმ ხელი მოაფათურა, ჩანთა აიღო და გახსნა. ექიმმა სათუთად ჩადო შიგ სამაჯურის ორივე ნახევარი.

– მიხედე, კარგი? – სთხოვა სილვი ბებომ.

აივიმ თავი დაუქნია და ძალისძალად გაუღიმა, მერე ჩანთა გახსნა და შეამოწმა: სამაჯური საიმედოდ იდო ჩანთის ჯიბეში.

– ოღონდ ფრთხილად, – უთხრა ექიმმა, – ბოლოები ბასრია.

აივი შეეცადა, სამაჯურს არ მიჰკარებოდა და ჩანთის ჯიბე ნელა შეკრა ელვამესაკრავით.

– აი, – წაიდუღლუნა სებმა და იატაკიდან რალაც აიღო, – ეს დაგივარდა, – და დას საფოსტო მარკის ზომის შავ-თეთრი ფოტო მიანწოდა. აივის ბევრჯერ უნახავს ეს ფოტო: სილვი ბებოს მუდამ ჩანთაში ედო. ეს ერთადერთი ფოტოა ბებოს წინანდელი ცხოვრებიდან. პოლიციამ იმ ავარიის მერე იპოვა

ბებოს მანქანის წვრილმანების უჯრაში, – უცნაურია, – განაგრძო და წარბები ასწია, – პატარაობის მერე აღარ მინახავს.

„არ გინახავს კი არა!“ – გაიფიქრა აივიმ, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

– ბებომ ახლაც არ იცის, ვინ არის ის მეორე ქალი, არა? – ჰკითხა სებმა.

აივიმ თავი გააქნია. ფოტოზე სილვი ბებოს გვერდით ქალი იდგა. ტანთხელი იყო, გამჭოლი მზერა ჰქონდა, მრგვალი, შავი შლაპიდან ურჩი თმა გამოსწნოდა. შალის სქელი, კუბოკრული კაბა და დეკორატიული ლურსმნებით მოჭედილი კოვბოური ჩექმა ეცვა. სილვი ბებო გახეხილი ჯინსის კომბინეზონში იყო გამონყობილი, ფეხსაცმელები ატლასის „ბალეტკებს“ მიუგავდა.

– არა, მაინც რაები ეცვათ, არა? – იკითხა სებმა, – გეგონება, კარნავალზე მიდიანო.

აივიმ მხრები აიჩეჩა:

– ვინ თქვა, რომ ეს რალაცები მოდაში არ იყო? – არადა, გულში თვითონაც გაიფიქრა, ამნაირები მოდაში ვერანაირად ვერ იქნებოდაო, მაგრამ არ უნდოდა, ძმისთვის კვერი დაეკრა.

– იცოდე, გაუფრთხილდი, – გაისმა ჩახრინული ხმა.

აივი მიტრიალდა. სილვი ბებო ჯანსაღ ხელს მათკენ იქნევდა.

– უკაცრავად, – აივიმ აჩქარებით ჩადო ფოტო და ჩანთა დაკეტა.

სებმა მოასწრო და მანამ გასრიალდა გვერდზე, სანამ აივი ხელს ნაჰკრავდა, გაიწიო.



თავი მეორე

— მა! – დაინრიპინა აივიმ. სების ტელეფონის ორად გაყოფილ ეკრანზე გადღაბნილი გამოსახულება ნელა მოძრაობდა. აივიმ ფერდში მუჯღუგუნი ნაჰკრა:

– არ გითხარი, ვიდეოზარი სისულელეა-მეთქი? უბრალოდ დაგვერეკა, რა იქნებოდა?!

სიბმა ნაიბუზლუნა, ცუდად იჭერსო, და მუხლზე დადებული ტელეფონი ცოტა ზემოთ აანაცვლა:

– შენც რომ გქონდეს ტელეფონი, როგორც უმეტეს ადამიანებს აქვთ, გეცოდინებოდა, რომ თუ სამმა კაცმა უნდა ილაპარაკოს, მაგ საქმისთვის ვიდეოზარი სჯობს. მაგრამ არა გაქვს და!.. იმიტომ რომ შერეკილი ხარ.

აივიმ თვალეხი აატრიალა. „რაც გინდა ის თქვი!“

– დე! მა! ახლა გვხედავთ? – გამოსახულება აციმციმდა. აივიმ სკამზე ადგილი შეინაცვლა. მის გარშემო, ბლერი სკრაბის საავადმყოფოს მიმღებში, ხალხის ტევა არ იყო: თეთრხალათიანი და კისერზე სტეტოსკოპჩამოკიდებული ექიმები, დაღვრემილი ნათესავები, კლიპბორდებმომარჯვებული ექთ-

ნები და ძლივძლივობით მოსიარულე, გასივებულ კიდურებზე ხელწავლებული პაციენტები... არც ბრჭყვიალა წვიმები ჩანდა სადმე და არც ფერადნათურებიანი გირლანდები. საშობაო საჩუქრების გაცვლა-გამოცვლიდან სამი დღე გასულიყო და შობა აღარავის ახსოვდა, თითქოს არც ყოფილაო. სილვი ბებოს ეს ამბავი არ მოეწონებოდა.

– აივი! მანდ ხარ?

– მა! – „როგორც იქნა!“

გამოსახლება გამკვეთრდა და აივი დაიჭყანა. მამა მეტის-მეტად ახლოს იყო კამერასთან და ფერმკრთალი, დაჭორფლილი სახით თითქმის მთლიანად ფარავდა ეკრანის მარცხენა ნახევარს. მარჯვნივ აივის დედა ჩანდა, სამსახურში ბუფეტის მაგიდას უჯდა. ექთნის ცისფერი ფორმა ეცვა, გულის ჯიბიდან პატარა, ვერცხლისფერი საათი გადმოჰკიდებოდა.

დედამ ნაბლისფერი თმის აბურდული კულულები ყურებზე გადაინია და შუბლშეჭმუხნილი წინ გადმოიხარა:

– გხედავთ, მაგრამ ბუნდოვნად ჩანხართ.

– პარიზში მიმავალ მატარებელში ვზივარ, – თქვა მამამ, – და ცუდად იჭერს. ყველანი მხედავთ?

– ახლა ორივენი ჩანხართ, – თქვა აივიმ, – გაიგონეთ, ბებო-ზე რაც გითხარით?

მამა მოიღრუბლა:

– ჰო, თითქმის ყველაფერი. ვერ დამიჯერებია. უკეთ არის? თქვენ ორს ხომ არაფერი გიჭირთ?

აივიმ მხრები აიჩეჩა:

– რა უნდა გვიჭირდეს?

– სებ, შენს დას პატრონობ?! – მკაცრად იკითხა დედამ.

სები აივის გვერდით, საავადმყოფოს სკამზე მოკუნტულიყო, გაქექილ-თეთროტასებიანი ფეხები პლასტმასის საყურ-

ნაღე მაგიდაზე დაელაგებინა, ტელეფონი მუხლებით ეჭირა. დაკლაკნილი ყურსასმენები კალთაში ეგდო.

– ჰო, – ჩაიდუღუნა, – ნუ ნერვიულობ.

აივი წამით ჩაფიქრდა:

– სებმა ტყუილი თქვა, თექვსმეტი წლისა ვარო.

სებმა თვალეზი მონკურა და გახედა:

– თუ თექვსმეტისა ხარ, შეგიძლია შენს ჭკუაზე იარო. კანონია.

აივი დაეჯღანა.

– მაგას ახლა მნიშვნელობა არა აქვს, რახან ერთად ხართ, – თქვა მამამ, – ბებო როგორ არის?

აივიმ რამდენიმე მეტრზე მოფრიაღე ტილოს ცისფერ ფარდას გახედა სების მხარს უკან. ფარდის უკან პატარა ოთახი იყო, სადაც საკაცეზე სიღვი ბებო იწვა. აივი ცოტა ხნით შეყოვნდა, სანამ უპასუხებდა და სცადა, რაც შეიძლებოდა მშვიდად ელაპარაკა:

– ახლა სძინავს. საავადმყოფოს მიმღებში ვართ, მაგრამ ექიმმა თქვა, ცოტა ხანში რენტგენი უნდა გადავუღოთო. რას გვეტყვიო, ჩვენ რა უნდა ვქნათ?

მამა შეყოყმანდა. აივის მატარებლის ჩუმი დაგადუგი მოესმა.

– რა უნდა ქნათ: ერთადერთი გამოსავალია, – თქვა დედამ და ტუჩები მოპრუნა, – ორივენი ბებოს სახლში უნდა დაბრუნდეთ და ჩვენს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალოთ. ამწუთშივე რომ წამოვიდე, სანამ ბლერი სკრაბამდე მოვალწევ, კარგი რამდენიმე საათი გავა.

მამამ თავი დააქნია:

– მამ, შევთანხმდით! სებ, ბებოს სახლამდე ავტობუსით წადით; გუშინ რომ მოგეცი, ბილეთი იმ ფულით იყიდე.

აივის გულზე მოეშვა:

– მამ, მოდიხართ? ორივენი?

დედამ ხელი შუბლზე გადაისვა:

– მოვდივართ, აბა, რას ვშვრებით?! ბავშვებო, თქვენ, ერთ-მაც და მეორემაც ძალიან იყოჩაღეთ. ახლა დანყნარდით, აღარ ინერვიულოთ. ჩამოვალთ და ყველაფერს მივხედავთ.

– მე, შეიძლება, გვიან სალამომდე ვერ გამოვალნიო, მაგრამ ჩამოსვლით უსიკვდილოდ ჩამოვალ, – უთხრა მამამ აივის, – ხომ ყოჩაღად იქნები? იცოდეთ, მშვივრები ნუ იქნებით, თავს მიხედეთ, – შეჩერდა და ხმას დაუნია, – ყოველ შემთხვევაში, ეცადეთ მაინც.

აივიმ ძმას გადახედა. სები აიპოდზე ბოლოს მოსმენილი სიმღერების სიას ათვალთვლიერებდა, ტელეფონის ეკრანს კი შიგადაშიგ უგულისყუროდ დახედავდა ხოლმე.

– ვეცდები.

ჯერ მამამ დაუქნია ხელი და დაემშვიდობა, მერე დედამ გამოუგზავნა ჰაეროვანი კოცნა და გათიშა. სებმა ტელეფონი გადალო და სიტყვა არ უთქვამს, ისე გაირჭო ყურებში ყურსასმენები. აივი სავარძელში გადანვა და მაუდის სქელი, ლურჯი პალტო მიჭმუჭნა. ოღონდაც დედა და მამა აქ იყვნენ! რა საშინელი ადგილია!

გულხელი დაიკრიფა და უაზროდ მოათვალთვლიერა მოსაცდელი. მთავარ შემოსასვლელში ვილაც ნაცრისფერლაბადიანი კაცი შემოდიოდა. შავი, ნვეტიანი ფეხსაცმელი ეცვა, ფართო-ფარფლებიანი შლაპა სახეს უფარავდა. ჯერ რეგისტრატურასთან შეკრებილ ექიმებსა და პაციენტებში გამოსხლტა, მერე ელვის სისწრაფით ჩაუარა დაცვის ორ თანამშრომელს. გეზი აქეთ ეჭირა, ანუ მომცრო პალატებისკენ, სადაც სასწრაფოთი მოყვანილები შეჰყავდათ.

რაც უფრო მეტხანს უყურებდა აივი კაცს, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ახალშემოსულს არ უნდოდა, ვინმეს თვალში მოხვედროდა. თვალებს აცეცებდა და ცდილობდა, ვინც ახლომახლო მიმოდიოდა, მათი ნაბიჯისთვის აენყო ფეხი. რომ მოუახლოვდათ, აივიმ შენიშნა, ლაბადის სახელოებიდან ყვითელი, ნუჟრიანი ტოტებივით გამოსჩროდა რალაცები. პირკატა ეცა, როცა მიხვდა, რაც იყო.

„ხელებია!“

ორივე ხელისგულზე კანი დამჭკნარ-დამუნუკებული ჰქონდა, თითები ავადმყოფ, ლპობაშეპარულ რტოებს მიუგავდა.

კაცმა რომ ჩაუარა, აივიმ თავი დახარა. გაიფიქრა, ნეტავი რა სჭირსო. ვინ იცის, რამე საშინელი ქიმიური ავარია მოუვიდა. ხელები აშკარად არანორმალურ მდგომარეობაში აქვს – აივის ასეთი არაფერი უნახავს, ფილმებშიც კი. როცა აიხედა, კაცი პალატების გრძელი რიგის ბოლოში იდგა – იმ პალატებისა, სადაც სილვი ბებო იწვა. მან უახლოეს ფარდაში შეიჭყიტა, ნამით შეიცადა, მერე გამობრუნდა და ახლა მეორე ფარდაში შეიჭყიტა. აივი ხედავდა, რომ კაცი მიყოლებით იყურებოდა ყველა ფარდაში. თითქოს რალაცას დაეძებსო.

„ან ვილაცას“, – გაიფიქრა აივიმ და როცა მიხვდა, კაცი სილვი ბებოს პალატისკენ მიდიოდა, ტანში სიცივემ დაუარა.

სები მუსიკის ტაქტზე იქნევდა თავს და მუხლზე ხელს ირტყამდა.

აივი სავარძლიდან წამოფრინდა და ძმას ბეჭებში სთხლიშა:

– სებ!

სებმა მხარი აუკრა და ცალი ყურიდან ყურსასმენი გამოიძრო.

– აივი, რა ჯან...